ეკონომიკური ზრდა, უთანასწორობა და სიღარიბე: პოლიტიკის საკითხები და გამოწვევები

თენგიზ ვერულავა
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბიზნესის სკოლა,
კავკასიის უნივერსიტეტი, tverulava@cu.edu.ge

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდა; უთანასწორობის დონე; სიღარიბე;
J.E.L. Classification: I38; O4 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2025.29.03

ციტირებისთვის: ვერულავა თ., (2025). ეკონომიკური ზრდა, უთანასწორობა და სიღარიბე: პოლიტიკის საკითხები და გამოწვევები. ეკონომიკური პროფილი, ტ. 20, 1(29), გვ. 32-41. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2025.29.03

ანოტაცია. *ეკონომიკური ზრდა, უთანასწორობა და სიღარიბე მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ზრდა შეიძლება ხელს უწყობდეს ზოგადი კეთილდღეობის ამაღლებას, უთანასწორობის ზრდა ხშირად ამცირებს ეკონომიკური პროგრესის ეფექტურობას და ზრდის სიღარიბის დონეს. ბურგუნიონის სამკუთხედის მოდელი აჩვენებს, რომ სიღარიბის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეკონომიკური ზრდა თანაბრად ნაწილდება მოსახლეობაში. შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ფოკუსირდეს შემოსავლების თანაბარ განაწილებაზე, რათა მიაღწიოს მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.*

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში უთანასწორობის ზრდა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. ეკონომიკური ზრდის სარგებელი ხშირად კონცენტრირებულია მოსახლეობის მცირე ნაწილში, რაც იწვევს სიმდიდრის უთანასწორო განაწილებას. როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებში, ეკონომიკური ზრდა არ ნიშნავს ავტომატურად სიღარიბის შემცირებას, თუ შემოსავლის განაწილება არ ხდება სამართლიანად.

ევროპის კავშირის (EU) წევრი ქვეყნების წარმომადგენლები 2000 წელს ლისაბონში შეთანხმდნენ, რომ ევროკავშირი უნდა გამხდარიყო მსოფლიოში ყველაზე კონკურენტული და დინამიური ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა. ამ მიზნის მიღწევისთვის, მათ დასახეს სტრატეგია, რომელიც ეკონომიკური ზრდის შედეგების რეგიონულ დონეზე გათანაბრებას ისახავდა მიზნად. თუმცა, სოციალური კოჰეზიისა და რეგიონული კონვერგენციის პოლიტიკამ არ გამოიღო მოსალოდნელი შედეგები, ხოლო ზოგიერთმა წევრმა ქვეყნებმა ბოლო წლებში უთანასწორობის ზრდა და რეგიონული განვითარების დივერგენცია დააფიქსირეს.

ევროკავშირის 2020 წლის სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანი იყო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ადამიანების რაოდენობის შემცირება, რაც ხაზს უსვამს უთანასწორობის დაძლევის აუცილებლობას. მსოფლიო ეკონომიკაში

უთანასწორობის მაღალმა დონემ შეიძლება გამოიწვიოს სოციალური სტაბილურობის დარღვევა, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს ეკონომიკური ზრდის მდგრადობას. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების შესასწავლად, აქტუალურია განისაზღვროს ეკონომიკური ზრდის გავლენა უთანასწორობასა და სიღარიბის დონეზე.

კავშირი ეკონომიკურ ზრდას, უთანასწორობასა და სიღარიბეს შორის წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ თემას მსოფლიო ეკონომიკაში.

ეკონომიკური ზრდა და უთანასწორობა

კვლევები ადასტურებენ, რომ ეკონომიკური ზრდასა და უთანასწორობის მაჩვენებელს შორის კავშირი არათანმიმდევრულია სხვადასხვა ქვეყნებში (Khan et al. 2013; Leitner and Stehrer 2014). აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია ქვეყნების განვითარების სტრატეგიების შესამუშავებლად და განსაკუთრებით, სიღარიბის შემცირებისთვის.

ეკონომიკური ზრდასა და უთანასწორობის მაჩვენებელს შორის კავშირის და სიღარიბეზე მათი გავლენის შესახებ კვლევებმა განაპირობა სხვადასხვა მოდელების შექმნა.

ეკონომიკური ზრდა სოციალურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი გავლენას ახდენს, განსაკუთრებით კი შემოსავლების გადანაწილებაზე. ამის შედეგები შეიძლება ორი სხვადასხვა თეორიული ხედვით აიხსნას:

კუზნეცის ჰიპოთეზა – ეკონომიკური განვითარების საწყის ეტაპზე უთანასწორობა იზრდება, თუმცა შემდგომ სტაბილურდება და მცირდება, რაც სიღარიბის დონის კლებას უწყობს ხელს.

ალტერნატიული ჰიპოთეზა – საწყის ეტაპზე ეკონომიკური ზრდა ამცირებს უთანასწორობასა და სიღარიბეს, მაგრამ მოგვიანებით უთანასწორობა ისევ იზრდება, რაც სიღარიბის ზრდას იწვევს.

თეორიული მოდელები და ემპირიული მიგნებები აჩვენებს, რომ ამ ურთიერთობებს შეიძლება სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული ფორმა ჰქონდეს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოდელია ბურგინიონის (2004) მიერ შემუშავებული სამკუთხედის (სიღარიბე--ზრდა-უთანასწორობის სამკუთხედი) მოდელი, რომელიც ეკონომიკურ ზრდას, შემოსავლების განაწილებასა და სიღარიბეს შორის ურთიერთკავშირს აჩვენებს.

ბურგინიონის მოდელის მიხედვით:

- ზრდა (მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა) შეიძლება შემცირდეს, თუ უთანასწორობა იზრდება.
- უთანასწორობა გავლენას ახდენს შემოსავლების განაწილებაზე და სიღარიბის დონეზე.
- სიღარიბე შეიძლება შემცირდეს მხოლოდ მაშინ, თუ ეკონომიკური ზრდა თანაბრად ნაწილდება.

ამგვარად, ეს მოდელი მიუთითებს, რომ ეკონომიკური ზრდის შედეგების არასწორი განაწილების შემთხვევაში, ზრდამ შესაძლოა უთანასწორობის

ზრდა და შესაბამისად, სიღარიბის გაღრმავებაც გამოიწვიოს. სიღარიბის შემცირება განისაზღვრება ორი ძირითადი ფაქტორით: ეკონომიკური ზრდით და შემოსავლების გადანაწილების ცვლილებებით. მოდელის მიხედვით, განვითარების სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს შემოსავლების ან სიმდიდრის ზრდას და მათი უთანასწორობის შემცირებას.

მოდელი შეიძლება ილუსტრირებული იყოს სამკუთხედის სახით, რომელშიც ქვედა მარჯვენა კუთხე წარმოადგენს სიღარიბეს ან მის შემცირებას (ნახ.1). ქვედა მარცხენა კუთხეშია უთანასწორობა, ან მისი განაწილება და წარმოადგენს მოსახლეობის შემოსავლების განსხვავებებს. სამკუთხედის ზედა წერტილი ასახავს ზრდას, რომელიც გამოხატავს მოსახლეობის საერთო შემოსავლებსა და ეკონომიკურ ზრდის მაჩვენებლებს (როგორც წესი, მშპ).

ნახაზი

ბურგუნიონის სამკუთხედი



წყარო: Bourguignon, 2004.

ამ მოდელის მიხედვით, განვითარებისთვის აუცილებელია არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდა, არამედ შემოსავლების სამართლიანი განაწილებაც. ეკონომიკური ზრდა და შემოსავლების უთანასწორობის ცვლილება არა მხოლოდ ცალკეული ფაქტორებია, არამედ მათ შორის ურთიერთქმედება განსაზღვრავს სიღარიბის დინამიკას. პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს განათლებას, ჯანდაცვას და სოციალური დაცვას, ზრდის სიღარიბის დაძლევის ეფექტურობას.

ქვეყნის რეგიონული პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს, როგორ აისახება ეკონომიკური ზრდა კონკრეტულ რეგიონებზე და რამდენად ეფექტიანია შემოსავლების გადანაწილების მექანიზმები. ამ კუთხით ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხებს:

- ეკონომიკური ზრდის სარგებლის სხვადასხვა რეგიონებში გადანაწილება;
- უთანასწორობის დონის დადგენა რეგიონულ კონტექსტში;

- სიღარიბის კლება და მისი გავლენა სოციალურ სტაბილურობაზე.

ეკონომიკური ზრდა (მშპ ერთ სულზე) პირდაპირ ამცირებს სიღარიბეს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლების განაწილება არ უარესდება. შემოსავლების გაუმჯობესებული გადანაწილება (Gini კოეფიციენტის შემცირება) სიღარიბის უფრო ეფექტიან შემცირებას უწყობს ხელს.

ეფექტიანი განვითარების სტრატეგიები უნდა მოიცავდეს როგორც ეკონომიკურ ზრდას, ისე შემოსავლების გადანაწილების გაუმჯობესებას. მხოლოდ ზრდაზე ორიენტირებული პოლიტიკა (რომელიც არ ითვალისწინებს უთანასწორობას) არ მიაღწევს მდგრად სიღარიბის შემცირებას. გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ გადანაწილებაზე ორიენტირებულმა პოლიტიკამ შესაძლოა ეკონომიკური სტაგნაცია გამოიწვიოს.

ბურგინიონის მიერ შემუშავებული სამკუთხედის (სიღარიბე-ზრდა-უთანასწორობის სამკუთხედი) მოდელი წარმოადგენს შემოსავლების ზრდის ანალიზის ინსტრუმენტს. იგი აღწერს, თუ როგორ ნაწილდება შემოსავლის ზრდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებზე. ეს ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის ეფექტიანობის შეფასებას სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით. ბურგინიონის მიერ შემუშავებული სამკუთხედის მოდელი პირველად ჩინეთში იქნა გამოყენებული წარმატებით.

მიუხედავად იმისა, რომ ბურგინიონის მოდელი ფართოდ აღიარებულია, მას რამდენიმე მნიშვნელოვანი კრიტიკაც გააჩნია. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ "სიღარიბე", "უთანასწორობა" და "ზრდა" ზედმეტად ზოგადი ტერმინებია, და მათი დეფინიციები სხვადასხვა კონტექსტში განსხვავდება. მაგალითად, Ferreira (2012) აღნიშნავს, რომ სიღარიბე უნდა განიხილებოდეს ინდივიდუალური ქცევისა და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ მოდელი არ მოიცავს ფინანსურ კრიზისებს, რეცესიებს და ეკონომიკურ ციკლებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სიღარიბის ფორმირებაში. მაგალითად, Khan et al. (2013) ამტკიცებს, რომ სიღარიბე თავად შეიძლება გახდეს ეკონომიკური ზრდის ბარიერი და ამის გათვალისწინება საჭიროა. მიუხედავად იმისა, რომ ბურგინიონის მიერ შემუშავებული სამკუთხედი ზოგადად დადასტურებულია ემპირიული მონაცემებით, მისი პრაქტიკული განხორციელება დამოკიდებულია ქვეყნის სპეციფიკურ ეკონომიკურ და სოციალურ კონტექსტზე.

Chemli & Smida (2013) აღნიშნავენ, რომ სიღარიბის შემცირება მხოლოდ ეკონომიკურ ზრდაზე და უთანასწორობის შემცირებაზე ვერ იქნება დაფუძნებული. აუცილებელია განათლების, ჯანდაცვის, და ადამიანური კაპიტალის გაძლიერება, რადგან ეს კომპონენტები გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას და უთანასწორობის შემცირებას უწყობენ ხელს.

ეკონომიკური ზრდა, უთანასწორობა და სიღარიბე ევროკავშირის ქვეყნებში

ეკონომიკური ზრდის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შეინიშნება შედარებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში (Michálek & Podolák, 2004). ის ქვეყნები სადაც დაფიქსირდა 100 პროცენტზე მეტი ეკონომიკური ზრდა, განეკუთვნებიან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, რომლებსაც ევროკავშირში გაწევრიანებამდე ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ. ასეთი ქვეყნებია: რუმინეთი, ლიტვა, ბულგარეთი, ლატვია, სლოვაკეთი, ესტონეთი. ექსპერტთა აზრით, აღნიშნული ძირითადად დაკავშირებული იყო იაფ სამუშაო ძალასა და დაბალ საწყის ეკონომიკურ პოზიციასთან. მეორე მხრივ, მთლიანი შიდა პროდუქტის ყველაზე დაბალი ზრდა დაფიქსირდა სამხრეთ ევროპის ქვეყნებში: კვიპროსში, იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, საფრანგეთში და გაერთიანებულ სამეფოში.

შემოსავლის უთანასწორობის რეგიონული სხვაობა ისეთივე მკაფიო არ არის, როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი. საინტერესოა, რომ უთანასწორობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა როგორც ეკონომიკურად ძლიერ, ისე სუსტი ზრდის მქონე ქვეყნებში. 2015 წელს ყველაზე მაღალი შემოსავლის უთანასწორობის კოეფიციენტი რუმინეთში დაფიქსირდა (8.3), ასევე მაღალი მაჩვენებლები იყო ლიტვაში (7.5), ბულგარეთში (7.1), ესპანეთში (6.9), ლატვიასა და საბერძნეთში (ორივეში 6.5), ესტონეთში (6.2), პორტუგალიაში (6.0) და იტალიაში (5.8) (Verwiebe, 2024).

ყველაზე დაბალი უთანასწორობის მაჩვენებლები დაფიქსირდა ჩეხეთსა და სლოვაკეთში (ორივეში 3.5), ფინეთსა და სლოვენიაში (3.6), ასევე ბელგიაში, ნიდერლანდებსა და შვედეთში (3.8). აღსანიშნავია, რომ სლოვაკეთმა ერთდროულად დააფიქსირა როგორც მაღალი ეკონომიკური ზრდა, ასევე ყველაზე დაბალი შემოსავლის უთანასწორობა ევროკავშირში.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ევროკავშირის მოსახლეობის წილი საგანგაშოა, რადგან მზარდი ტენდენცია შეინიშნება. 2009 წელს ეს მაჩვენებელი 16.4 პროცენტი იყო, ხოლო 2023 წელს 21 პროცენტამდე გაიზარდა. ეს ნიშნავს, რომ 2023 წელს თითქმის 94.6 მილიონი ევროკავშირის მოქალაქე იმყოფებოდა სიღარიბის რისკის ქვეშ (Eurostat, 2024).

აღსანიშნავია, რომ "ევროპა 2020" სტრატეგიის მიზანი 2010-2020 წლებში ამ რიცხვის 20 მილიონით შემცირება იყო, თუმცა, რეალურად, სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა.

ყველაზე პრობლემურ ქვეყნებად ითვლებიან ის სახელმწიფოები, სადაც მაღალია უთანასწორობის დონე. 2022 წლის მონაცემებით, ქვეყნები, სადაც მოსახლეობის მინიმუმ 18 პროცენტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, არის შემდეგი: ბულგარეთი (22.6%), რუმინეთი (23.4%), საბერძნეთი(26.3%),

ლატვია (19.8%), ლიტვა (19.3%), ესტონეთი (18.6%). ამ ქვეყნებში განსაკუთრებით მაღალია შემოსავლის უთანაბრობა. მაგალითად, ბულგარეთში 2022 წელს ჯინის კოეფიციენტი იყო 0.40, ხოლო რუმინეთში - 0.38 (Fleck, 2024).

საქართველოში, ბოლო ათწლეულის განმავლობაში შემცირდა სიღარიბის მაჩვენებელი. 2013 წელს აბსოლუტური სიღარიბის დონე 26.2%-დან 2022 წელს 15.6%-მდე დაეცა. თუმცა, შედარებითი სიღარიბის დონე სტაბილურია და 2019-2023 წლებში 19.8% შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში შემოსავლის უთანაბრობა საკმაოდ მაღალია. 2013-2022 წლებში ჯინის კოეფიციენტი საშუალოდ 0.40 იყო, რაც ნიშნავს რომ შემოსავლის უთანაბრობა ერთ-ერთი უმაღლესია რეგიონში. ამ მონაცემებით, საქართველო იმ ქვეყნებს შორისაა, სადაც სიღარიბის და შემოსავლის უთანაბრობის პრობლემები შეინიშნება (Bakradze et al., 2023).

ამგვარად, ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკური ზრდა, უთანასწორობა და სიღარიბე ურთიერთკავშირშია, თუმცა ეს კავშირი რეგიონებს შორის განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა აღმოსავლეთ ევროპულმა ქვეყანამ მაღალი ეკონომიკური ზრდა დააფიქსირა, ისინი კვლავაც მაღალი უთანასწორობისა და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან. ამ პროცესების ეფექტურად მართვა რეგიონული პოლიტიკისა და შემოსავლის გადანაწილების უკეთესი მექანიზმების დანერგვას საჭიროებს.

დასკვნა

ბურგინიონის (2004) მიერ შემუშავებული სამკუთხედის (სიღარიბე-ზრდა-უთანასწორობის სამკუთხედი) მოდელი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თეორიად რჩება განვითარებადი ეკონომიკის ანალიზში. მისი მთავარი უპირატესობა არის ზრდისა და უთანასწორობის ურთიერთქმედების გააზრება როგორც სიღარიბის დინამიკის განმსაზღვრელი ფაქტორი. ეკონომიკური ზრდა არ არის საკმარისი სიღარიბის აღმოსაფხვრელად, თუ ის არ არის თანაბრად განაწილებული. თუმცა, კრიტიკოსები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გლობალური სიღარიბის ანალიზისთვის საჭიროა უფრო კომპლექსური ფაქტორების გათვალისწინება, მათ შორის განათლების, ფინანსური სტაბილურობისა და ეკონომიკური ციკლების გავლენა.

უთანასწორობის შემცირება და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სწორად წარმართვა შეიძლება გახდეს საკვანძო ფაქტორი მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. მთავრობებმა უნდა განახორციელონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას და სოციალური უთანასწორობის შემცირებას, რათა შექმნან უფრო მდგრადი და სამართლიანი საზოგადოება.

ლიტერატურა:

1. Bakradze N, Basilidze S, Nurashvili N. (2023). household income and income inequality in georgia (2013-2022). PMC Research. URL:https://pmcresearch.org/publications_file/aa6d65095cbba022e.pdf (გადამოწმე-ბულია: 25.04.2025)
2. Bourguignon, F. (2004), 'The poverty-growth-inequality triangle', The World Bank Policy Research Working Paper, 28102.
3. Chemli, L., & Smida, M. (2013). Interaction between Poverty, Growth, and Inequality during the Crisis: A Panel Data Study. International Journal of Economics and Finance, 5, 120. URL:https://doi.org/10.5539/ijef.v5n5p120 (გადამოწმებულია: 25.04.2025)
4. Eurostat. Living conditions in Europe - poverty and social exclusion, June 2024. URL:https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Living_conditions_in_Europe_-_poverty_and_social_exclusion (გადამოწ-მებულია: 25.04.2025)
5. Fleck, A. How Many People Are at Risk of Poverty in Europe?. Aug 14, 2024. Statista. URL:https://www.statista.com/chart/30411/share-of-people-at-risk-of-poverty-or-social-exclusion/ (გადამოწმებულია: 25.04.2025)
6. Francisco Ferreira & Maria Ana Lugo, 2012. "Multidimensional poverty analysis: Looking for a middle ground," Working Papers 251, ECINEQ, Society for the Study of Economic Inequality.
7. Khan, A. U., Saboor, A., Hussain, A., Sadiq, S., & Mohsin, A. Q. (2014). Poverty assessment as a multidimensional socio-economic concept: the case of the Rawalpindi region in Pakistan. Asia Pacific Journal of Social Work and Development, 24(4), 238–250. URL:https://doi.org/10.1080/02185385.2013.844724 (გადამოწმებულია: 25.04.2025)
8. Michálek, A., & Podolák, P. (2004). Enlargement of the EU: Comparison of the member and accession countries from the point of view of selected demographic and socio-economic characteristics. Problemi na geografijata, 3–4, 3–21.
9. Verwiebe, R. (2024). Inequality in Europe. In: Jodhka, S.S., Rehbein, B. (eds) Global Handbook of Inequality. Springer, Cham. https://doi.org/10.1007/978-3-031-32152-8_97 (გადამოწმებულია: 25.04.2025)